



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„-16-“--08-- 2017 წელი

*საქართველოს სასჯელაღსრულების
და პრობაციის სამინისტრო*

2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში N39/36

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	4
არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა.....	4
მოთხოვნები და ვალდებულებები.....	6
მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერა	8
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული მედიკამენტების ანგარიშგებაში წარდგენის შესადარისობა უზრუნველყოფილი არ არის.....	9
შემოსავლების არასრულად/არასწორ საანგარიშო პერიოდში აღრიცხვა	10
2017 წელს მიღებულ აქტივებზე საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთა.....	11
ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღურიცხავობა	11
პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ	11
სხვა მნიშვნელოვან საკითხთა აზიზაი	12
აქტივების აღრიცხვა	12
სასამართლო დავებთან დაკავშირებული თანხების ანგარიშგებაში ასახვის საკითხი	13
კონტროლირებული ერთეულის-შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა.....	14
შპს „GMM“-თან კვებითი მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ბიუჯეტში გადაუხდელი თანხები.....	14
სამინისტროს შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვა	15
შტატგარეშე მომუშავეები	16
სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები	16
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები	Error! Bookmark not defined.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად. ასევე, „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებაზე, რაც აუცილებელია ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული დანართი ფორმები N1-N12.

აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა

სამინისტროს ბალანსზე რიცხული არაფინანსური, ფინანსური აქტივების და მატერიალური ფასეულობების აღწერის მიზნით (გარდა საიდუმლო სახელმწიფო შესყიდვით შეძენილი მატერიალური ფასეულობებისა), სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებით² შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, ინვენტარიზაციის დასრულების ვადად კი განსაზღვრულია 2016 წლის 1 აპრილი. აღნიშნული ვადა, მინისტრის ბრძანებების შესაბამისად, გაგრძელებულია ჯერ 2016 წლის 15 სექტემბრამდე³, ხოლო შემდგომ 2016 წლის 31 დეკემბრამდე.⁴

ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლენილი გაუთვალისწინებელი გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, საჭირო გახდა ვადის გაგრძელება 2017 წლის 1 ივნისამდე⁵. 2017 წლის

² MOC 5 15 00006451 ბრძანება

³ MOC 2 16 00003801, 08/07/2016

⁴ MOC 6 16 00007207, 07/10/2016

⁵ ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათი-MOC 5 17 0018 4687, 10/03/2017

31 მაისის მოხსენებითი ბარათით, ჩატარებულია ზემოაღნიშნული გარემოებებით გათვალისწინებული სამუშაოები და საჭიროა საინვენტარიზაციო უწყისებსა და დოკუმენტაციაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ საბუღალტრო პროგრამის ჩანაწერებით შენობა-ნაგებობების ანგარიშებზე, კერძოდ, „არასაცხოვრებელი შენობები - 2112“ და „სხვა ნაგებობები-2119“, ირიცხება შემდეგი დასახელების ობიექტები: „N8 დაწესებულების შეხვედრის ოთახების მოწყობა“, „სპეცრაზმის ტირის ოთახების მოწყობის სამუშაოები“, „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეც. დანიშნულების რაზმის სველი წერტილების და სხვადასხვა დანიშნულების ოთახების სარემონტო სამუშაოები“, „შენობის რემონტი“, „ეზოს მოწყობა“, „გაზომმარაგება“, „სიგნალიზაცია“, „ოთახების კეთილმოწყობა“ და სხვა. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების უმრავლესობა საჭიროებს იდენტიფიკაციას და ზუსტი დასახელებით შეტანას საბუღალტრო მონაცემებში.

ასევე არ არის დასრულებული სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 27 დეკემბრის ბრძანებით⁶ დაწყებული მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ინვენტარიზაცია, რომლის დასრულების ვადად თავდაპირველად განსაზღვრული იყო 2017 წლის 15 თებერვალი, საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, მოთხოვნილია ვადის გაგრძელება 2017 წლის 31 დეკემბრამდე⁷.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონმდებლობის შესაბამისად,⁸ არ არის ჩატარებული 2016 წელს რიცხული ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაცია სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში“.

გამომდინარე აღნიშნულიდან, 27 01 (სამინისტროს აპარატი- „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“) და 27 02 (სსიპ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო - „სრულყოფილი პრობაციის სისტემა“) პროგრამულ კოდებზე 2016 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხულ არაფინანსური აქტივების ნაშთების რეალობა ვერ დასტურდება.

⁶ MOC 4 16 00008646

⁷ MOC 8 17 00358579, 15.05.2017

⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

მოთხოვნები და ვალდებულებები

მოთხოვნები

2016 წლის 1 იანვარს, სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენდა 8,708.7 ათას ლარს, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაზრდილია 11,535.4 ათას ლარამდე, დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილის სახით:

ცხრილი N1 : დებიტორული დავალიანება (ათას ლარებში)

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	252.2	244.7
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	356.9	1.4
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	581.9	512.2
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	10,238.9	7,813.6
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	50.3	50.3
სხვა დანარჩენი მოთხოვნები	55.2	86.5
ჯამი	11,535.3	8,708.7

2016 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხული დავალიანებებიდან, 10 დებიტორ ორგანიზაციაზე, ჯამური თანხით 5,775.91 ათასი ლარი (2012-2016 წლებში წარმოქმნილი), დავალიანების დადასტურების მიზნით, აუდიტორული პროცედურის შესაბამისად, გაიგზავნა შესაბამისი წერილები. პასუხი მიღებულია 9 ორგანიზაციიდან,⁹ საიდანაც, ერთი კომპანიის, შპს „პროექტი-21“-ის მიერ წერილში მითითებული თანხა 115.60 ათასი ლარით ნაკლებია სამინისტროს ბალანსზე რიცხულ დავალიანების ნაშთზე, კერძოდ დებიტორის მიერ მითითებულია 913.63 ათასი ლარი, საბალანსო ნაშთი კი შეადგენს 1,029.23 ათას ლარს. აღნიშნული თანხა წარმოადგენს 2013 წელს წარმოქმნილ დავალიანებას (სააღრიცხვო მონაცემებით). სამართლებრივი დავა აღნიშნულ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, მხარეებს შორის არ მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული მოთხოვნების 99% (11,420.0 ათასი ლარი) მოდის 27 01 პროგრამულ კოდზე, საიდანაც 5,305.96 ათასი ლარი წარმოშობილია 1996-2010 წლებში და ირიცხება სხვადასხვა ორგანიზაციებზე. აღნიშნული მოთხოვნების ყველაზე დიდი წილი

⁹ დასტურის წერილი არ არის მიღებული 1 ორგანიზაციიდან, 305.75 ათას ლარზე.

მოდის 2004 წელს წარმოშობილ, შპს „ნოლა“-ს დავალიანებაზე, რომელიც შეადგენს 4,299.5 ათას ლარს და რომელზეც, წინა აუდიტის მსგავსად, ვერც მიმდინარე აუდიტის ფარგლებში იქნა წარმოდგენილი რაიმე სახის დოკუმენტაცია. გარდა ამისა, მოთხოვნების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა¹⁰, შესაბამისად, დებიტორ ორგანიზაციებთან არ გაფორმებულია ურთიერთშედარების აქტები და არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები დავალიანებების რეალურობის დასადგენად¹¹.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანების სიზუსტე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვერ დასტურდება.

ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სამინისტროს ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების საწყისი ნაშთი შეადგენდა 3,259.5 ათას ლარს, რომელიც საანგარიშო წლის განმავლობაში გაზრდილია 3,284.2 ათას ლარამდე. კრედიტორული დავალიანების სტრუქტურა ცხრილის სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

ცხრილი N2: კრედიტორული დავალიანება (ათას ლარებში)

დასახელება	31.12.2016	01.01.2016
ვალდებულებები დეპოზიტით	12.2	311.3
საქონლისა და მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	984.3	929.1
არაფინანსური აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	1,714.4	1,521.9
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	255.7	201.6
სხვა დანარჩენი ვალდებულებები	317.7	295.6
ჯამი	<u>3,284.2</u>	<u>3,259.5</u>

2016 წლის 31 დეკემბრისთვის რიცხული დავალიანებებიდან, 2016 წელს წარმოშობილ 4 კრედიტორ ორგანიზაციაზე, საერთო თანხით 364.83 ათასი ლარი, დავალიანების დადასტურების მიზნით გაიგზავნა შესაბამისი წერილები, საიდანაც 1 კრედიტორის¹² მიერ

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები;

¹¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

¹² შპს „პროექტი-21“

დასტურის წერილში მითითებული თანხა 52.36 ათასი ლარით მეტია სამინისტროს ბალანსზე რიცხულ კრედიტორული დავალიანების ნაშთზე.

2016 წლის ბოლოს რიცხული დავალიანებების 91% (2,993.8 ათასი ლარი) მოდის 27 01 პროგრამულ კოდზე, საიდანაც 2,587.9 ათასი ლარი წარმოშობილია 1996-2009 წლებში. მათ შორის, არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების თანხა შეადგენს 1,513.89 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს შპს „ინტერნეიშენელ ბილდინგ კომპანი“-ს მიმართ 2007 წელს წარმოშობილი 1,057.93 ათას და შპს „აკსმშენი“-ს მიმართ 2008 წელს წარმოშობილ 232.97 ათასი ლარის დავალიანებებს. ორივე მათგანი უკავშირდება გლდანის #8 დაწესებულების მშენებლობას. სხვა დამატებითი ინფორმაცია სამინისტროს მხრიდან ვერ იქნა წარმოდგენილი. ასევე, ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით სამინისტროში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, შესაბამისად, არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნები¹³.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამინისტროს ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანების სიზუსტე 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვერ დასტურდება.

მედიკამენტების და სამედიცინო სახარჯი მასალების ჩამოწერა

სამინისტროს 2016 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, 27 01 პროგრამულ კოდზე („საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“) „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ჩამოწერის შედეგად მიღებული ხარჯი შეადგენს 24,993.64 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მოიცავს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამედიცინო მომსახურების მიზნით გახარჯულ მედიკამენტებსა და სამედიცინო სახარჯ მასალას - 23,653.15 ათასი ლარს (95%). აღნიშნული ხარჯი მოიცავს როგორც 2016 წელს, ასევე 2012-2015 წლებში (ძირითადად 2015 წელს შესყიდულ და სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მსჯავრდებულ/ბრალდებულ ბენეფიციარებზე გადასაცემად მიღებული მარაგების) გაწეულ დანახარჯებს, ვინაიდან ვერ ხდებოდა მათი შესაბამის პერიოდში ასახვა დოკუმენტაციის წარმოდგენლობის, ან/და არასათანადოდ (არასრულყოფილად) შევსებული დოკუმენტაციის ან მათი დაგვიანებით წარმოდგენის გამო¹⁴.

2016 წელს მასალების ხარჯად აღიარება მოხდა დაწესებულებებიდან 2016 წელს შექმნილი და წარმოდგენილი აქტების საფუძველზე, ჯამურად. სააღრიცხვო მონაცემები 2015-2016

¹³ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

¹⁴ აღნიშნულის შესახებ საუბარია წინა პერიოდის აუდიტის ანგარიშში.

წლებში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ნაშთების, მიღების და ხარჯვის შესახებ 27 01 პროგრამულ კოდზე, მოცემულია ქვემოთ¹⁵:

ცხრილი N3

ათას ლარებში

წელი	საწყისი ნაშთი	მიღება შესყიდვით	სხვა შემოსავლებით	მშ. მედიკამენტების უსასყიდლო მიღება	ხარჯი-საქონელი და მომსახურება	სხვა ხარჯი	საბოლოო ნაშთი
2015	7,396.23	3,483.43	26,442.33	26,441.75	(954.73)	(16.95)	36,350.31
2016	36,350.31	3,326.41	-	-	(24,993.64)	-	14,683.07
სულ		6,809.83	26,442.33	26,441.75	(25,948.37)	(16.95)	

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია 23,653.15 ათასი ლარის ხარჯი ვერ ასახავს სააღრიცხვო პერიოდის რეალურ მაჩვენებელს¹⁶, ამასთან აღსანიშნავია, რომ „ვირუსული C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბრალდებულ/მსჯავრდებულ ბენეფიციარების სამკურნალოდ 2014-2015 წლებში მიღებული მედიკამენტები 2016 წლის ბოლოს, სააღრიცხვო მონაცემებით, არ არის გახარჯული სრულად. შესაბამისად, „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ ანგარიშზე არსებული ნაშთის (14,683.07 ათასი ლარის) 58% (8,552.9 ათასი ლარი) მოიცავს აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მიღებულ მედიკამენტებს¹⁷. ინვენტარიზაციის დაუსრულებლობის გამო, აღნიშნული ნაშთის რეალობა ვერ დასტურდება.

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მიღებული მედიკამენტების ანგარიშგებაში წარდგენის შესადარისობა უზრუნველყოფილი არ არის

2016 წლის განმავლობაში სამინისტროს მიერ, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, ბენეფიციარებზე გადასაცემად მიღებულია სხვადასხვა სახის მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალები:

- ვირუსული „C“ ჰეპატიტის პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის

¹⁵ შენიშვნა: 27 01 კოდი 2015 წელს მოიცავდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, სამინისტროს აპარატსა და სამედიცინო დეპარტამენტს, რომლებიც 2015 წელს სხვადასხვა პროგრამული კოდებით იყო წარმოდგენილი და გაერთიანება მოხდა 2016 წელს

¹⁶ წარმოდგენილი აქტების მიხედვით, აღნიშნული ხარჯიდან 2016 წელს მიეკუთვნება 4,619.64 ათასი ლარი, თუმცა ვინაიდან ზოგიერთ აქტში არ არის მითითებული რეალური ხარჯის პერიოდი, ზუსტი თანხის წარმოდგენა ვერ ხდება

¹⁷ სოვალდი-7,539.9 ათასი, პეფერონი-824.13 ათასი, პეგასისი-188.86 ათასი ლარი

პროგრამის ფარგლებში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“-სგან - 167,625.83 ათასი ლარის;

- „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ პროგრამის ფარგლებში, სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“-სგან - 450.2 ათასი ლარის;
- „შიდსის დაავადების პრევენციის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის“ პროგრამის ფარგლებში სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-სგან - 6.26 ათასი ლარის;

მედიკამენტების მიღება 2014-2015 წლებისგან განსხვავებით, არ აღრიცხულა 2016 წელს. გამომდინარე აქედან, ანგარიშგებაში აღნიშნულ მარაგებთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის შესადარისი წინა საანგარიშგებო პერიოდებთან (2014 წელს აღრიცხულია 642.4 ათასი ლარის, 2015 წელს-26,441.75 ათასი ლარის მედიკამენტები, შემოსავლის სახით). აუდიტის ობიექტისგან ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება, თუ როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი კანონმდებლობით გათვალისწინებული¹⁸ შესადარისობა.

შემოსავლების არასრულად/არასწორ საანგარიშო პერიოდში აღრიცხვა

სამინისტროს 2016 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული სხვადასხვა შესყიდვის ხელშეკრულებებით დარიცხული პირგასამტეხლოს თანხები¹⁹ (აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია 2017 წლიდან, საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოსთვის დოკუმენტაციის გადაგზავნა ხორციელდება ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით). მიმწოდებლებზე დარიცხული და საანგარიშგებო პერიოდში აღურიცხავი პირგასამტეხლოს თანხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

- არასაიდუმლო ხელშეკრულებებით, მიმწოდებლებზე 2016 წელს დარიცხული და ბიუჯეტში გადაუხდელი ჯარიმის თანხები - 54.23 ათასი ლარი;
- საიდუმლო ხელშეკრულებებით, 2016 წელს 4 მიმწოდებელზე²⁰ დარიცხული და ბიუჯეტში გადაუხდელი თანხა - 205.61 ათასი ლარი;
- 2016 წელს მიმწოდებლებზე დარიცხული და ბიუჯეტში გადახდილი 54.02 ათასი ლარი (მათ შორის საიდუმლო ხელშეკრულებებით - 24.49 ათასი ლარი, ღია ხელშეკრულებებით - 29.52 ათასი ლარი);

¹⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანება, მუხლი 10, პუნქტი 6

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“, მუხლი 51, პუნქტი-15

²⁰ შპს „ელფი“, შპს „პროექტი-21“, შპს „ლარგო“, შპს „GMM“.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, სამინისტროს 2016 წლის ანგარიშგებაში შემოსავლები 6430 ანგარიშზე (სანქციები, ჯარიმები, საურავები) წარმოდგენილია 313. 86 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებით;

ასევე, შპს „კალინა ჯორჯია“-ს მიერ 2015 წლის 4 აგვისტოს, საიჯარო აუქციონის საგარანტიო თანხის, 100.0 ათასი ლარის ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვა, 2015 წლის ნაცვლად, ასახულია 2016 წლის შემოსავლების ანგარიშზე (6423 ანგარიში-არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება), შესაბამისად, აღნიშნული თანხა მიკუთვნებულია არასწორ საანგარიშო პერიოდზე.

2017 წელს მიღებულ აქტივებზე საანგარიშო პერიოდში დარიცხული ცვეთა

სამინისტროს მიერ 2017 წლის განმავლობაში მიღებულ 3,646.43 ათასი ლარის ძირითად აქტივებზე დარიცხული ცვეთის თანხა (263.33 ათასი ლარი), საბუღალტრო პროგრამის ხარვეზის გამო, მიკუთვნებულია 2016 საანგარიშო წელზე და აღრიცხულია ამ პერიოდის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში. შესაბამისად, 263.33 ათასი ლარით გაზრდილია ხარჯის მუხლი-„ძირითადი კაპიტალის მოხმარება“ (7310).

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევასთან დაკავშირებული შემოსავლების აღურიცხავობა

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევასთან დაკავშირებული 2016 წლის ხელშეკრულების ფარგლებში 27 01 პროგრამულ კოდზე, წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ანაზღაურებულია 88 სადაზღვევო შემთხვევა, საერთო ღირებულებით 166.7 ათასი ლარი, რომელიც არ არის ასახული შესაბამის ანგარიშებზე²¹. შედეგად კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღნიშნული თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი შემოსავალი 6414 ანგარიშზე-„ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები, რომელიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება“.

პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებული ანგარიშგების შესახებ

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანება, მუხლი 27, პუნქტი 15

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, სამინისტროს წარმოდგენილი 2016 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ფორმები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

სხვა მნიშვნელოვან საკითხთა აზიარება

აქტივების აღრიცხვა

ჯართად ჩამოწერილი ძირითადი აქტივების არასწორი ღირებულებით აღრიცხვა

27 01 პროგრამულ კოდზე 1627 საბალანსო ანგარიშზე „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“, რიცხულია სხვადასხვა დასახელების, ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ფასეულობები, ღირებულებით 125.12 ათასი ლარი, თუმცა ისინი ასახულია ნარჩენი და არა ჯართის ღირებულებით²².

სხვა სახელმწიფო ერთეულზე აქტივების გადაცემის აღრიცხვა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 22 თებერვლის ბრძანების²³ საფუძველზე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს უვადო სარგებლობაში გადაეცა სხვადასხვა დასახელების არაფინანსური აქტივები, საერთო საბალანსო ღირებულებით 242.5 ათასი ლარი, საიდანაც გრძელვადიანი აქტივების (საბალანსო ანგარიში-2122) ღირებულება შეადგენდა 97.8 ათას ლარს, ხოლო მოკლევადიანი აქტივების (1627 საბალანსო ანგარიში) - 144.7 ათასს. მოკლევადიანი აქტივების გადაცემა, ნაცვლად 7621 ანგარიშისა²⁴ (მიმდინარე გრანტები სასაქონლო ფორმით), ასახულია 7270 ანგარიშზე (ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები), შედეგად, 144.7 ათასი ლარის ხარჯი სამინისტროს 2016 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, კლასიფიცირებულია არასწორად.

აქტივების მიღების დაგვიანებით აღრიცხვა

²² საქართველოს ფინანსთა მინისტრის #429 ბრძანება, მუხლი 3, პუნქტი 1(საბალანსო ღირებულების განმარტება)

²³ 2016 წლის 22 თებერვლის #0766 ბრძანება

²⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #429 ბრძანება, მუხლი 53, პუნქტი 1

2016 წლის აგვისტოს თვეში, სამინისტროს მიერ ბალანსზე აღებულია სასჯელაღსრულების მე-15 და მე-16 დაწესებულებების პურის საცხოვრის ფართები²⁵, ჯამური ღირებულებით 81.36 ათასი ლარი. აღნიშნული საცხოვრისი აშენებული იყო შპს „ნილი“-ს მიერ აღნაგობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში. მე-15 დაწესებულებაში არსებული ქონების აღნაგობის ვადა დასრულებულია 2015 წელს, მე-16 დაწესებულების - 2013 წელს. შესაბამისად, აქტივების მიღების ოპერაციები მისაკუთვნიებულია ამავე პერიოდებზე²⁶.

სასამართლო დავებთან დაკავშირებული თანხების ანგარიშგებაში ასახვის საკითხი

პირობითი მოთხოვნები

სამინისტროს ბალანსის დანართ საცნობარო მუხლში 05 კოდზე „პირობითი მოთხოვნები“ არ არის ასახული შემდეგი ინფორმაცია:

- სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ (პროგრამული კოდი-27 02) მიერ შპს „GMM“-ზე 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისთვის, 2015 წლის 30 ოქტომბრის საჩივრის და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 წლის 5 მაისს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა 14.73 ათასი აშშ დოლარი, ასევე 4.0 ათასი ლარის და სასამართლო ბაჟის თანხა 1.1 ათასი ლარი. (გადაწყვეტილება გასაჩივრებულია ორივე მხარის მიერ, სააგენტო ითხოვს თავდაპირველი სასარჩელო თანხის, 73.64 ათასი დოლარის, ასევე სასამართლო ბაჟის თანხის ანაზღაურებას 4.3 ათასი ლარის ოდენობით, დავა დღემდე მიმდინარეობს);
- შპს „თი-ემი“-სთვის საიდუმლო ხელშეკრულებებით პირგასამტეხლოს სახით დაკისრებულ თანხაზე (1,366.70 ათას ლარზე) მიმდინარე სასამართლო დავები (გადაწყვეტილებები მიღებულია პირველ ინსტანციაში, დავა დღემდე მიმდინარეობს).

გაღებულებები

²⁵ მე-15 დაწესებულება-144 კვმ, მე-16 დაწესებულება-195 კვმ

²⁶ ²⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #429 ბრძანება(ცვლილება-20/04/2016 წლის #79 ბრძანებით , მუხლი 45, პუნქტი 1)

2016 წლის განმავლობაში, სამინისტროს მიერ სხვადასხვა დავალიანებების დასაფარად (მორალური ზიანი, განაცდური და ა.შ) სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გადახდილია 186.48 ათასი ლარი, თუმცა უმეტეს შემთხვევებში (179.80 ათას ლარზე) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში შესულია 2015 წელს და თანხები აღრიცხვაში ასახულია 2016 წელს, მხოლოდ საინკასო დავალების შესაბამისად ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრის შემდგომ, შესაბამისად, 179.80 ათასი ლარის ხარჯი, ეკუთვნის წინა საანგარიშო პერიოდს.

კონტროლირებული ერთეულის-შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა

შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების“ წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2011 წლის 29 დეკემბერს რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომლის 100%-იან წილს ფლობს სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“.

მისი საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს პატიმრობის კოდექსით²⁷ გათვალისწინებული პაემნების ინფრასტრუქტურულ და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფა. დაფუძნების თარიღისთვის კაპიტალი, ფულადი შენატანის სახით, შეადგენდა 500.0 ათას ლარს, რომელიც სამინისტროს ბალანსზე აისახა როგორც „აქციები და სხვა კაპიტალი“ (საბალანსო ანგარიში - 1330). 2016 წლის 1 იანვარს აღნიშნულ ანგარიშის საწყისი ნაშთი შეადგენდა 645.0 ათას ლარს, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული შენატანით (120.0 ათასი ლარით) გაიზარდა და 765.0 ათასი ლარი შეადგინა.

2016 წლის კონსოლიდირებული ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებში არ არის ასახული ფინანსური ინფორმაცია კონტროლირებული ერთეულის, შპს „პერსპექტივა“-ს შესახებ. აქტივების, ვალდებულებების, ნამეტის და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით²⁸.

შპს „GMM“-თან კვებითი მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ბიუჯეტში გადაუხდელი თანხები

²⁷ 17² და 17³ მუხლები

²⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის #429 ბრძანება, მუხლი 25, პუნქტი 9-კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს: ბ) კონტროლირებული ერთეულების კრებსითი ფინანსური ინფორმაცია, ინდივიდუალურად და ჯგუფურად, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით, რომელიც არ არის კონსოლიდირებული

შპს „GMM“-სთან 2015-2016 წლების კვებითი მომსახურების შესყიდვაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სამინისტროს მიერ პირგასამტეხლოს სახით დარიცხული და ბიუჯეტში გადაუხდელი თანხა შეადგენს 321.37 ათას ლარს, დავალიანების ამოღების მიზნით ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო პროცედურები. ასევე, 2016 წლის ოქტომბერში ავანსის სახით გადარიცხული 1,500.0 ათასი ლარიდან, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო აუთვისებელი და ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხა შეადგენს 354.8 ათას ლარს. საკითხი დეტალურად განხილულია ანგარიშის საიდუმლო ნაწილში.

სამინისტროს შრომის ანაზღაურების ფონდის დაგეგმვა

სამინისტროს 2016 წლის მთლიანი გადახდების (143,029.4 ათასი ლარის) 47%-ს მოიცავს შრომის ანაზღაურება. სამინისტროს სისტემაში შრომის ანაზღაურების 99,7% მოდის პროგრამულ კოდზე 27 01 01 – „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება“ და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე“ (პროგრამული კოდი 27 02 – „სრულყოფილი პრობაციის სისტემა“).

პროგრამული კოდი 27 01 01-პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება

27 01 პროგრამულ კოდზე, ბიუჯეტით დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 4,587 ერთეულს, წლის განმავლობაში ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა - 3,799 ერთეულს, ვაკანსიების შედეგად აუთვისებელი თანხებით ხდებოდა პრემია-დანამატების გაცემა. 26 შემთხვევაში მოხდა დანამატის თანამდებობრივ სარგოზე 2-ჯერ მეტი ოდენობით გაცემა²⁹, ხოლო 2 შემთხვევაში მოხდა მაქსიმალური ოდენობის 6,250 ლარის (თანამდებობრივ სარგოზე 2,3-ჯერ მეტი) დანამატის წლის განმავლობაში ყოველთვიური გაცემა³⁰, რაც თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის. აღნიშნული დანამატების გაცემა სამინისტროს მხრიდან დასაბუთებულია ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულებით. აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ არ ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა, თუმცა თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის გონივრული თანაფარდობა არ არის უზრუნველყოფილი.

²⁹ 2.6-ჯერ გადამეტება-3 შემთხვევა(სამმართველოს უფროსი), 2.5-ჯერ -2 შემთხვევა(დაწესებულების დირექტორის მოადგილე, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე), 2.3-ჯერ-21 შემთხვევა(დაწესებულების დირექტორი, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი/მოადგილე)

³⁰ დაწესებულების დირექტორი

პროგრამული კოდი 27 02-„სრულყოფილი პრობაციის სისტემა“

27 02 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულია 5,012.66 ათასი ლარის, საკუთარი სახსრებიდან - 225.5 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნულ პროგრამულ კოდზე ბიუჯეტით დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 367 ერთეულს, წლის განმავლობაში ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო თვიური ოდენობა - 311 ერთეულს.

ვინაიდან ქალთა თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების გაუხსნელობის გამო აუთვისებელი დარჩა სახელფასო ფონდისთვის განსაზღვრული რესურსი, აღნიშნულ პროგრამულ კოდზე შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ნაწილი (334.0 ათასი ლარი) მიმართულ იქნა 27 01 01 პროგრამულ კოდზე, „შრომის ანაზღაურების“ მუხლში, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებული პრემიის გასაცემად. დარჩენილი ეკონომიების ათვისება ასევე მოხდა პრემია-დანამატების გაცემით.

შტატგარეშე მომუშავეები

შტატგარეშე მოსამსახურეებიდან სამინისტროს აპარატის 46, პრობაციის ეროვნული სააგენტოს - 29, ხოლო სასწავლო ცენტრის - 14 თანამშრომელი 2 წელი და მეტი პერიოდის განმავლობაში ასრულებს ერთსა და იმავე სამუშაოს, ერთ თანამდებობრივ პოზიციაზე, რაც შესასრულებელ სამუშაოთა მუდმივ საჭიროებაზე მიუთითებს. აღნიშნული ეწინააღმდეგება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს³¹.

სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების გეგმის შედგენის ნაკლოვანებები და გეგმით აუთვისებელი თანხები

2016 წლის საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 19 ნოემბერს დამტკიცებულია შესყიდვების გეგმა (პროგრამული კოდი 27 01), რომელშიც წლის განმავლობაში არაერთი ცვლილებაა განხორციელებული. სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია თუ რამდენჯერ და რა მიზეზით განხორციელდა გეგმაში ცვლილებები.

წარმოდგენილია მხოლოდ გეგმის პირვანდელი და საბოლოო ვერსია, რომელთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის ნაკლოვანებები. კერძოდ, გარკვეულ შემთხვევებში ტენდერების გამოცხადება ხდებოდა შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანამდე, რაც

³¹ შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნულია, ან შრომითი ხელშეკრულებით, გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად


შეუსაბამობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან³². ასევე ფიქსირდება გეგმაში ცვლილების შეტანამდე გამარტივებული ფორმით ხელშეკრულებების გაფორმების შემთხვევები და სხვადასხვა CPV კოდებზე³³ გეგმით გათვალისწინებული თანხების ათვისების დაბალი მაჩვენებელი.

2016 წლის ბოლოს, 27 01 01 პროგრამული კოდის „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან ბიუჯეტში მიიმართა 7,900.0 ათასი ლარი, თუმცა, შესყიდვების გეგმის შედგენის ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამო ვერ ხდება ათვისებული თანხების CPV კოდების მიხედვით იდენტიფიცირება.

მედიკამენტების ტენდერის დაგეგმვისა და სატენდერო პირობის ნაკლოვანება

2016 წლის მანძილზე, სამინისტროს მიერ მედიკამენტების შესყიდვის მიზნით სულ გამოცხადებულია 71 ელექტრონული ტენდერი. მათ შორის არ შედგა 22 ელექტრონული ტენდერი, უარყოფითი შედეგით დასრულდა 5 ელექტრონული ტენდერი, ხოლო ხელშეკრულება დადებულია 44 ელექტრონულ ტენდერზე.

გრაფიკი N1. პროცენტული თანაფარდობა გაფორმებულ ხელშეკრულებებს შორის



შენიშვნა: შპს „აქვატერა“-სთან ხელშეკრულება გაფორმებულია ვეტერინარულ ვაქცინებზე, ხოლო შპს „ჰუმანდიაგნოსტიკ ჯორჯია“-სთან ლაბორატორიულ რეაქტივებზე. სხვა - დანარჩენთან მეტიკამენტებზე.

³² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება #9, „გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მუხლი 8, პუნქტი 5

³³ 398 00000(საწმენდი და საპირაღებელი საშუალებები), 181 0000 CPV კოდზე (სამუშაო ტანსაცმელი, სპეც. ტანსაცმელი და აქსესუარები), 393 00000(სხვადასხვა სახის მოწყობილობები) და ა.შ

მედიკამენტების ტენდერების უშედეგოდ დასრულება ხშირად უკავშირდება ბაზრის კვლევასა და სავარაუდო ღირებულების განსაზღვრასთან დაკავშირებულ ნაკლოვანებას, კერძოდ:

სამინისტროს მიერ მედიკამენტების შესყიდვის მიზნით, ტენდერების გამოცხადებამდე ტარდება ბაზრის კვლევა, წინადადებები ეგზავნება სამ კომპანიას: შპს „ავერსი ფარმა“, შპს „პსპ ფარმა“, შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“.

სავარაუდო ღირებულება განისაზღვრება ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტის ფასზე კიდევ უფრო დაბალ ფასად და ტენდერი უშედეგოდ მთავრდება.

ტენდერების ხელმეორედ გამოცხადების წინ, სამედიცინო ლოჯისტიკის დეპარტამენტის მიერ კვლავ ტარდება ბაზრის კვლევა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სამივე კომპანია, ყოველი მომდევნო ბაზრის კვლევის ეტაპზე ხშირად ფასს ზრდის, რაც იწვევს ხელმეორედ გამოცხადებული ტენდერების სავარაუდო ღირებულების გაზრდას. არის შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე დასახელების მედიკამენტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები 2-ჯერ არ შედგა და მხოლოდ მესამედ გამოცხადების შემდგომ, სავარაუდო ღირებულების გაზრდისა და შესასყიდი მედიკამენტების რაოდენობების შემცირების შემთხვევაში გაფორმდა ხელშეკრულება. მაგალითად, ვიტამინების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ტენდერები³⁴.

ტენდერში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ შპს „პსპ ფარმა“, შპს „ავერსი ფარმა“, შპს „ეი-ბი-სი ფარმაცია“.

ტენდერებში, სადაც მონაწილეობას 2 და მეტი პრეტენდენტი იღებდა, სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის დიდი სხვაობებია, რაც წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილზე.

ცხრილი N4. სხვაობა სავარაუდო ღირებულებასა და ხელშეკრულების ღირებულებას შორის სხვადასხვა რაოდენობის პრეტენდენტების შემთხვევაში (ათას ლარებში)

პრეტენდენტების რაოდენობა	სავარაუდო ღირებულება	სახელშეკრულებო ღირებულება	სხვაობა	სხვაობა(%)
2 და 3	1,393.3	1,152.1	241.5	17%
1	1,437.5	1,382.8	54.7	4%

მედიკამენტების შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პირობას, რომლის მიხედვითაც შესყიდული საქონლის მიწოდება ხდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნული მიზეზის გამო, თითქმის ყველა ხელშეკრულებაში საბოლოოდ ცვლილებებია შესული და შესასყიდი საქონლის რაოდენობები საგრძნობლად არის შემცირებული. ხელშეკრულებები გაფორმებულია

³⁴ SPA160000022, SPA160003235, SPA160013187

ჯამურად 2,534.9 ათას ლარზე, ხოლო საბოლოოდ აღნიშნულ ხელშეკრულებებზე გადახდილმა თანხამ შეადგინა 1,925.1 ათასი ლარი (610.0 ათასი ლარით ნაკლები ღირებულების მედიკამენტები).

მაგალითად, ანტიბაქტერიული მედიკამენტების შესყიდვის მიზნით 2015 წელს გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე სამინისტროსა და შპს „პსპ ფარმას“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 217.0 ათასი ლარი. 2015 წლის 7 დეკემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების შედეგად, ღირებულება შემცირდა 28%-ით. ანალოგიური ფარმაცოლოგიური თვისებების მქონე მედიკამენტების შესყიდვის მიზნით, 2016 წელს სამინისტროსა და შპს „ეი-ბი-სი“ ფარმაციას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ღირებულებით 160.0 ათასი ლარი, აღნიშნულ ხელშეკრულებაში წლის ბოლოს შეტანილი ცვლილებით, ღირებულება შემცირებულია 47%-ით.

ცხრილი N5. 2015-2016 წელს მოხმარებული ერთი და იგივე დასახელების მედიკამენტების რაოდენობის შედარება

მედიკამენტები	განზომილება	2015 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული	2015 წლის კორექტირება	სხვაობა %	2016 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული	2016 წლის კორექტირება	სხვაობა %
Azithromycin 250მგ	კაფსულა	50000	30156	40%	50000	6474	87%
Ciprofloxacin 500მგ	აბი	100000	38590	61%	100000	36350	64%
Ampicillin+sulb actam 1.5g	ფლაკონი	10000	3680	63%	10000	4430	56%
Amoxicillin 500mg	აბი	100000	13440	87%	100000	35532	64%

ანალოგიურად, პეპტიური წყლულისა და მარტივი დისპეპსიის სამკურნალო მედიკამენტების შესყიდვის მიზნით 2015 წელს გაფორმებულ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, ღირებულება შემცირებულია 31%-ით, ხოლო 2016 წელს ანალოგიური ფარმაცოლოგიური თვისებების მქონე მედიკამენტების შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულების ღირებულებისა და საბოლოოდ, კორექტირებულ თანხას შორის სხვაობა შეადგენს 35%-ს.

ცხრილი №6. 2015-2016 წელს მოხმარებული ერთი და იგივე დასახელების მედიკამენტების შედარება

მედიკამენტი	განზომილება	რაოდ. 2015 წლის ხელშეკრულებით	2015 წლის კორექტირება	სხვაობა %	2016 წლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული	2016 წლის კორექტირება	სხვაობა %
Ranitidine 150mg	აბი	45000	4940	89%	40000	25440	36%
Lansoprazole 30mg	აბი	90000	57750	36%	150000	83600	44%
Sucralfate 1g	აბი	15000	8150	46%	15000	5000	67%
Bismuthe tripotassium dicitrate 120mg	აბი	112000	47376	58%	112000	34496	69%

სამინისტროს მიერ ელექტრონული ტენდერის დაგეგმვისას არ არის გათვალისწინებული წინა წელს მოხმარებული მედიკამენტების რაოდენობა. შესაბამისად, ტენდერები გამოცხადებულია მოცულობით საკმაოდ დიდი რაოდენობის მედიკამენტებზე, ხოლო ტენდერით გამოცხადებულ რაოდენობასა და მოხმარებულ რაოდენობას შორის, (ხელშეკრულებაში შესული ცვლილებებით) წლის ბოლოს სხვაობა დიდია (იხილეთ ცხრილი #5 და #6). დაგეგმვისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს არსებული საჭიროება (წინა წლების მოხმარებიდან გამომდინარე) და ამავდროულად შესაძლებელია ტენდერების ხელოვნურად დაყოფის რისკის შემცირების მიზნით, განსაზღვრული რაოდენობა აღმატებოდეს წინა წელს მოხმარებულ რაოდენობას, თუმცა 50%-ზე მეტი სხვაობა დაგეგმილ რაოდენობასა და მოხმარებულს შორის დაგეგმვაში არსებულ ხარვეზზე მიუთითებს.

გარდა ამისა, ტენდერის საკვალიფიკაციო მონაცემებით განსაზღვრულმა პირობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს კონკურენციის შეზღუდვაზე, კერძოდ: მედიკამენტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია მთელი რიგი საკვალიფიკაციო მონაცემები, მათ შორის: ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ პრეტენდენტის ქონებაზე არ არის რეგისტრირებული ყადაღა/აკრძალვა, საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა და არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში. გამომდინარე იქედან რომ დღეის მდგომარეობით საქართველოში უამრავ კომპანიას ერიცხება საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა, შესაძლოა, მედიკამენტების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობას არ იღებს სხვა შედარებით მცირე კომპანია, თუმცა ამის შესახებ პრეტენზია (მათ შორის გასაჩივრების უფლება) არავის გამოუხატავს.

აღნიშნული მოთხოვნა (პრეტენდენტის ქონებაზე საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის რეგისტრაციის არარსებობა) სამინისტროს მიერ გამოცხადებული სხვადასხვა ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციით არის გათვალისწინებული, თუმცა სხვა შემთხვევებში მათ მიერვე ხდება მოთხოვნის უგულებელყოფა და სატენდერო კომისიის მიერ არ ხორციელდება

იმ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, რომლის ქონებაზეც რეგისტრირებული იყო საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა³⁵. მართალია პრაქტიკაში ამ პირობას არ იყენებს სამინისტრო, თუმცა საკვალიფიკაციო პირობებში ასეთი მოთხოვნის ჩადებამ შესაძლოა შეზღუდოს კონკურენცია და სწორედ ამ პირობის გამო, რომელიმე სხვა კომპანიამ არ წარმოადგინოს შესაბამისი შეთავაზება.

წვევამდელთა ფორმების შესყიდვის პროცედურების გახანგრძლივების გამო წარმოქმნილი საქონლის დეფიციტი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანების შესაბამისად³⁶ გაწერილია ნორმები, რომლის მიხედვითაც თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს წლის განმავლობაში ეკუთვნის 2 კომპლექტი სავსე ფორმა, ერთი კომპლექტი დათბილული ქურთუკი და შარვალი. წვევამდელთა გაწვევა წელიწადში 2-ჯერ ხორციელდება - გაზაფხულსა და შემოდგომაზე. მიუხედავად ამისა, შესყიდვების დეპარტამენტის მიერ 2016 წლისათვის დამტკიცებულ თავდაპირველ შესყიდვების გეგმაში 182 000 CPV კოდით გათვალისწინებული ჰქონდა 10.0 ათასი ლარი (გამარტივებული ელ. ტენდერი), რომელიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა. მაგალითად: 2016 წლის 14 ივლისს განხორციელებული ცვლილების შედეგად აღნიშნულ CPV კოდზე განხორციელდა ცვლილება და 1,730.0 ათასი ლარი განისაზღვრა (ელ.ტენდერი). 2016 წლის 8 ნოემბერს კვლავ განხორციელდა ცვლილება და 1,600.0 ათასი ლარით განისაზღვრა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო 2016 წლის 14 ნოემბერს განხორციელებული ცვლილებით 182 000 CPV კოდზე გეგმას დაემატა 81.9 ათასი ლარის ღირებულების ელ.ტენდერი.

უნიფორმის განახლებული დიზაინის/სპეციფიკის დაგვიანებით დამტკიცებამ, ასევე, სატენდერო დოკუმენტაციაში ჩადებულმა პირობამ (ჯარიმის ოდენობა: ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%), რომელზეც პრეტენზია და შენიშვნა გამოითქვა არაერთი მომწოდებლის მიერ, ასევე არამართებულად მიიჩნია დავების განხილვის საბჭომ, გამოიწვია შესყიდვის პროცედურის გახანგრძლივება და ვერ უზრუნველყო საქონლის შესყიდვა წარმოქმნილი გადაუდებელი აუცილებლობის მოსაგვარებლად საჭირო ვადაში, რამაც თავის მხრივ წარმოქმნა საქონლის დეფიციტი.

პროცედურები წარიმართა შემდეგნაირად:

³⁵ SPA160006336, SPA160011839, NAT160000963

³⁶ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური დანიშნულების ძალების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს მოსამსახურეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სავალდებულო სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალურ-სასურსათო ნორმების განსაზღვრის შესახებ“ მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის N165 ბრძანება.

წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევისთვის³⁷ (1103 წვევამდელის გაწვევა), რომელიც იგეგმებოდა 2016 წლის 24 აგვისტოდან 30 დეკემბრის ჩათვლით, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის მიერ³⁸ მოთხოვნილ იქნა სხვადასხვა დასახელების და რაოდენობების სანივთე ქონება, მათ შორის ზამთრის ქურთუკი 1103 ცალი. საშემოდგომო გაწვევისთვის 2016 წლის 22 აგვისტოს სამინისტროს მიერ საწყობიდან გაცემულია სხვადასხვა რაოდენობის სანივთე ქონება, თუმცა არ გაცემულა ზამთრის ქურთუკები (1103 ცალი).

2016 წლის 19 ოქტომბრიდან 26 დეკემბრის ჩათვლით, სხვადასხვა განყოფილებებიდან მოთხოვნების შესაბამისად, სულ გაცემულია 213 ცალი ქურთუკი, ხოლო დანარჩენი ქურთუკები გაიცა 2017 წლის იანვრის ბოლოს, მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. საშემოდგომო გაწვევაზე წვევამდელთა რაოდენობა 871-ს შეადგენდა, ხოლო მათი ქურთუკებით დაკომპლექტება სრულად მხოლოდ 2017 წლის იანვრის ბოლოს მოხდა. (მიმწოდებლისგან ქურთუკები მიღებულია 2016 წლის 29-30 დეკემბერს).

2016 წლის ივლისში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულებით³⁹, სამინისტროს მიეცა თანხმობა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, უნიფორმების⁴⁰ შესყიდვის (სავარაუდო ღირებულება-1,800.0 ათასი ლარი) დასადგენად მიემართა საქართველოს მთავრობისთვის. გადაუდებელი აუცილებლობის დადგომა განპირობებული იყო იმით, რომ უნიფორმის განახლებული დიზაინის/სპეციფიკის შემუშავებამ და შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემამ, დროის გარკვეული პერიოდი მოიცვა და შესაბამისი ბრძანება დამტკიცდა 2016 წლის 8 ივნისს. სამინისტროს განმარტებით, არსებობდა რისკი იმისა, რომ ტენდერით შესყიდვის შემთხვევაში, მისი გახანგრძლივებული პროცედურიდან გამომდინარე, წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევის დაწყებამდე ვერ მოესწრებოდა აღნიშნული უნიფორმების შესყიდვა, რაც ღონისძიების ჩაშლის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა.

მიუხედავად შესყიდვების სააგენტოსგან მიღებული ნებართვისა, სამინისტროს მთავრობისთვის არ მიუმართავს და 2016 წლის 24 აგვისტოს ზემოაღნიშნული უნიფორმების შესყიდვის მიზნით გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე⁴¹, სავარაუდო ღირებულებით 1,500.0 ათასი ლარი.

ხელშეკრულების პროექტის მიხედვით, ხელშეკრულების დარღვევისთვის გათვალისწინებული იყო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა და

³⁷ პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის 2016 წლის 5 აგვისტოს N681520 წერილით

³⁸ 2016 წლის 5 აგვისტოს N681520 წერილი

³⁹ 2016 წლის 12 ივლისის N2037 განკარგულება

⁴⁰ სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის მოსამსახურეთა და გარე დაცვისა და ბადრაგირების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის სამმართველოს სამხედრო სავალდებულო მოსამსახურეთათვის, საშემოდგომო სეზონის დადგომასთან და აგრეთვე საშემოდგომო გაწვევის დაწყებასთან დაკავშირებით

⁴¹ NAT160001407

პირგასამტეხლოს დაკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

ტენდერის კითხვა-პასუხის რეჟიმში შპს „მოდელების სახლი მატერიალ“ დასვა შეკითხვა, შესაძლებელი იყო თუ არა ხელშეკრულების გაფორმებისას ხელშეკრულების მე-8 მუხლით გათვალისწინებული სანქციების გადახედვა, ვინაიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო 7.5 ათასი ლარი გამოდიოდა, სამინისტროს პასუხიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული სანქციები არ გადაიხედებოდა, ვინაიდან სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი იყო ხარისხი და შესაბამისი მიწოდების ვადები.

2016 წლის 9 სექტემბერს შპს „SANIDIKO“-ს მიერ გასაჩივრდა გათვალისწინებული სანქციები.

2016 წლის 26 სექტემბერს საბჭოს გადაწყვეტილებით გაუქმდა აუქციონის გარეშე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის ⁴² ხელშეკრულების პროექტის 8.2. პუნქტის ჩანაწერი: „საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია ხელშეკრულების შეწყვეტა“ და სამინისტროს მიეცა რეკომენდაცია გაითვალისწინოს „პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით“. 2016 წლის 27 სექტემბერს სამინისტრომ ზემოაღნიშნული ტენდერი შეწყვიტა (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N3).

2016 წლის 7 ოქტომბერს მთავრობის განკარგულების საფუძველზე⁴³, კვლავ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე⁴⁴, რომელიც 2016 წლის 13 ოქტომბერს შეწყდა⁴⁵ სატენდერო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზის გამო.

იმავე დღეს (13.10.16) კვლავ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე⁴⁶ სავარაუდო ღირებულებით 1,500.0 ათასი ლარი. სატენდერო კომისიის მიერ გათვალისწინებულ იქნა დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილება და ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა-„საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება“, ამოღებულ იქნა, **ხოლო პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%, კვლავ უცვლელი დარჩა.** ტენდერში მონაწილეობა მიიღო 2-მა პრეტენდენტმა (მოდელების სახლი მატერია - 1,500.0 ათასი ლარი; BERRAK TIC – 1,399.6 ათასი ლარი).

⁴² NAT160001407

⁴³ 2016 წლის 30 სექტემბრის N1995 განკარგულება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

⁴⁴ NAT160002589

⁴⁵ სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2

⁴⁶ NAT160002708

2016 წლის 25 ოქტომბერს აღნიშნული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია გასაჩივრდა შპს „დემეტრე 96“-ის მიერ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში. კომპანიის მიერ სხვადასხვა საკითხებთან ერთად გასაჩივრებული იყო ხელშეკრულების პროექტის 8.2 პუნქტი. საბჭოს მიერ შპს „დემეტრე 96“-ის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და სამინისტროს კვლავ დაევალა ემსჯელა პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრისას შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციასთან მიმართებით („ყოველ ვადაგადაცდილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების არაუმეტეს 0.02%-ის ოდენობით“).

2016 წლის 1 ნოემბერს (სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2) კომისიის წევრებმა იმსჯელეს საბჭოს გადაწყვეტილებაზე და არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირება. სატენდერო კომისიამ 6 დეკემბერს გამარჯვებულად გამოავლინა შპს „მოდელების სახლი მატერია“ და 2016 წლის 12 დეკემბერს მასთან გაფორმდა ხელშეკრულება N12/19-ღირებულებით 1,500.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია ისიც, რომ პირველად გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც სამინისტროს მიერ შეწყვეტილ იქნა, შპს „მოდელების სახლი მატერია“ ზემოაღნიშნულ სანივთე ქონებას სახელშეკრულებო ღირებულებასთან შედარებით 21.7 ათასი ლარით ნაკლებად სთავაზობდა (1,478.2 ათას ლარი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სატენდერო პირობებმა გამოიწვია სატენდერო პროცედურების გახანგრძლივება, რამაც თავის მხრივ წარმოქმნა საქონლის დეფიციტი. ამასთან, არსებობდა წვევამდელთა ფორმების ნაკლებ ფასად შესყიდვის შესაძლებლობა.

სატვირთო ფურგონების და სასწრაფო დახმარების სპეციალური ავტომობილების შესყიდვაზე შეწყვეტილი ტენდერები

პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის⁴⁷ მიერ მინისტრისთვის გაგზავნილი წერილის საფუძველზე, 2016 წლის 22 ნოემბერს სამინისტროს მიერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე⁴⁸, 4 ერთეული სატვირთო ფურგონის და 1 ერთეული სასწრაფო დახმარების სპეციალური ავტომობილის შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით 245.0 ათასი ლარი, მთავრობის განკარგულების⁴⁹ შესაბამისად.

შესყიდვის ზღვრულ ღირებულებად განსაზღვრული იყო 285.0 ათასი ლარი. ტენდერი შეწყდა 25 ნოემბერს, მიზეზად კი სახელდება ის გარემოება, რომ გამოცხადების მომენტში მოხდა მექანიკური შეცდომა, კერძოდ, ბაზრის კვლევიტ წარმოდგენილ ფასში დამატებითი

⁴⁷ #38262, 15/11/2016

⁴⁸ NAT160003664

⁴⁹ საქართველოს მთავრობის 17 ნოემბრის #2452 განკარგულება

ღირებულების გადასახადი არ იქნა გათვალისწინებული ტენდერის სავარაუდო ღირებულებაში. შესაბამისად, იგი არ შეესაბამებოდა რეალობას.

სატენდერო კომისიამ იმავე დღეს ხელახლა გამოაცხადა ტენდერი, სავარაუდო ღირებულებით 274.0 ათასი ლარი. სხვა მოთხოვნებთან ერთად, სატენდერო დოკუმენტაციაში, სასწრაფო დახმარების ავტომობილის ტექნიკური აღწერილობით მოთხოვნილი იყო შემდეგი: „შემოთავაზებული ავტომანქანის საბაზისო მოდელი უნდა ირიცხებოდეს NCAP ევრო ან IIHS ამერიკული "ქრამ ტესტის" ბაზაში, შემოთავაზებული ავტომანქანის საბაზისო მოდელის უსაფრთხოების ტესტების შესახებ ინფორმაცია უნდა არსებობდეს (NCAP ევრო ან IIHS ამერიკული) ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (ქრამ ტესტი უნდა ქონდეს საბაზისო მოდელს)“. ასევე, სატენდერო დოკუმენტაციის განსაზღვრული მიწოდების გრაფიკით და მისი თანდართულ ხელშეკრულების პროექტით, მოწოდების ბოლო ვადად განისაზღვრა 2016 წლის 29 დეკემბერი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა, „შპს ჯი თი მოტორს“-მა, რომელმაც დააფიქსირა სავარაუდო ღირებულების იდენტური ფასი, 274.0 ათასი ლარი. ტენდერი საბოლოოდ შეწყდა 21 დეკემბერს შემდეგი გარემოების გამო: „პროცედურები იმდენად გახანგრძლივდა, რომ პრეტენდენტი ვეღარ შეძლებს საქონლის მოწოდებას სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში“.

ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია გასაჩივრებულ იქნა შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს მიერ, რომელიც 2016 წლის 29 ნოემბერს, დავების განხილვის საბჭომ ცნო დასაშვებად.

კომპანია საჩივარში აღნიშნავდა, რომ სატენდერო პირობები იყო დისკრიმინაციული, არაკონკურენტული და ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას, კერძოდ: ბაზრის კვლევის შედეგად, ერთადერთი მოდელი, რომელიც აკმაყოფილებდა სასწრაფო დახმარების სპეციალური ავტომობილის შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, იყო “Ford transit Custom”(ტენდერში მონაწილე ერთადერთი პრეტენდენტის მოდელი). ასევე, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული იყო საქონლის მიწოდების არაგონივრული ვადა „2016 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით“, მაშინ როდესაც წინადადების მიღება მთავრდებოდა 1 დეკემბერს და შემდგომ წარმოსადგენი იყო ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია. ასევე, სასწრაფო დახმარების სპეციალურ სამგზავრო ავტომობილებზე უნდა განხორციელებულიყო შესაბამისი აღჭურვა, რაც მოითხოვდა გარკვეულ დროს“. მომჩივანმა მოითხოვა გაუქმებულიყო „კანონმდებლობის უხეში დარღვევით შედგენილი სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია მთლიანად“.

სამინისტრო სხდომაზე არ დაეთანხმა საჩივარში მითითებულ გარემოებებს და უარყო დოკუმენტაციის ერთ პრეტენდენტზე მორგება. შემსყიდველმა ასევე აღნიშნა, რომ ვინაიდან შესყიდვის განხორციელება ძალიან ეჭვარებოდათ, აირჩიეს ის პირობები და ვადები, რომელიც იმ კომპანიამ შესთავაზა, ვინც ყველაზე მცირე ვადაში ყველაზე იაფად მოწოდების შესაძლებლობა დაადასტურა.

დავების საბჭოს გადაწყვეტილებით, „კონკრეტულ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვერ ადასტურებს, რომ აუქციონის გარეშე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის- NAT160003782 **აბსოლუტურად ყველა მოთხოვნას** სხვადასხვა მწარმოებლების ავტოსატრანსპორტო საშუალებები აკმაყოფილებენ“.

2016 წლის 13 დეკემბერს, საბჭომ საჩივარი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მიიჩნია, რომ სამინისტროს სატენდერო კომისიას უნდა გადაესინჯა სატენდერო დოკუმენტაციის და სატენდერო განცხადების დამტკიცების შესაბამისი სხდომის ოქმი, კერძოდ, ემსჯელა „ქრამ ტესტის“ შესახებ მოთხოვნის ამ სახით არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე, საქონლის მიწოდების ვადის საკითხთან დაკავშირებით და მის მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ემსჯელა, კონკრეტულად რომელი სატრანსპორტო საშუალებები აკმაყოფილებდნენ აუქციონის გარეშე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT160003782) სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ აბსოლუტურად ყველა მოთხოვნას და მხოლოდ ამის გათვალისწინებით მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში არ არის მსჯელობა დავების საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ.

სატენდერო დოკუმენტაციის არასწორად ჩამოყალიბებამ შესასყიდი საქონლის ტექნიკური აღწერილობის და მოწოდების ვადის ნაწილში, რაზეც საჩივარი ჰქონდა შეტანილი შპს „სიტროენ ჯორჯია“-ს და რაზეც ასევე, მიუთითებდა დავების განხილვის საბჭო, გამოიწვია შესყიდვის პროცედურის შეფერხება. სატენდერო კომისიის სხდომის ოქმიდან ჩანს, რომ რეალურად დადგა ის გარემოება, რისი დადგომის რისკსაც შეიცავდა სატენდერო დოკუმენტაციის ჩანაწერი მოწოდების კონკრეტულ ვადასთან დაკავშირებით. კერძოდ, პროცედურები იმდენად გახანგრძლივდა, რომ პრეტენდენტი ვეღარ შეძლებდა საქონლის მოწოდებას შესაბამის ვადაში. ყოველივე აღნიშნულმა კი, ვერ აღმოფხვრა ის ვითარება, რის გამოც მთავრობისგან იქნა მოთხოვნილი ნებართვა გამარტივებული ელ.ტენდერით შესყიდვის შესახებ. აღნიშნული CPV კოდით (34100000) შესყიდვა არ არის ასევე გათვალისწინებული სამინისტროს 2017 წლის შესყიდვების გეგმაში, რაც მიუთითებს იმას, რომ შესყიდვის საჭიროება არ იყო იდენტიფიცირებული და ჩამოყალიბებული.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

აუდიტორთა ხელმოწერა

სახელი, გვარი


თარიღი

ხელმოწერა

ლევან შუბითიძე

(უფროსი აუდიტორი)

16.08.2017



მეგი კოდოშვილი

(უფროსი აუდიტორი)


16.08.2017



ზოია შიშინაშვილი

(აუდიტორი)


16.08.2017



არჩილ ამირხანაშვილი

(აუდიტორი)


16.08.2017



ვახტანგ ჭელიძე

(აუდიტორ-ასისტენტი)

16.08.2017



კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2016 წლის 31 დეკემბერს

ფორმა №1 – ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

<i>დასახელება</i>	<i>31.12.2016</i>	<i>01.01.2016</i>
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	1,382,524	450,327
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1,386,226	936,401
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	10,914,112	8,417,274
სხვა მატერიალური მარაგები	14,988,262	36,682,987
სულ მოკლევადიანი აქტივები	28,671,124	46,486,989
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	4,824,254	7,536,796
ძირითადი აქტივები	258,415,709	254,588,321
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	1,534,843	1,524,163
სულ გრძელვადიანი აქტივები	264,774,806	263,649,280
ბალანსი	293,445,930	310,136,269
ვალდებულებები		

მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	12,159	311,299
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3,272,087	2,948,160
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3,284,246	3,259,459
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	3,284,246	3,259,459
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	285,584,970	303,534,131
გაუნაწილებელი მოგება	4,576,714	3,342,679
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	290,161,684	306,876,810
ბალანსი	293,445,930	310,136,269

ფორმა №2 – ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2016 წლის 31 დეკემბერი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	143,029,370	-	143,029,370	147,250,545
შემოსავლები	2,080,753	1,958,396	4,039,149	29,900,839
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	786,157	-	786,157	27,041,782
სხვა შემოსავლები	1,294,596	1,958,396	3,252,992	2,859,057
ა. ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	508	508	2,209
ბ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,085,302	1,957,356	3,042,658	1,491,271
გ. სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	742,354
დ. ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	113,630	532	114,162	3,353
ე. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	95,664	-	95,664	619,870
სულ	145,110,123	1,958,396	147,068,519	177,151,384
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	67,479,724	225,450	67,705,174	67,894,942
საქონელი და მომსახურება	80,895,469	178,129	81,073,598	56,334,087
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	9,341,431	15,459	9,356,890	8,232,145
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-
გრანტები	646,718	7,758	654,476	656,337
სოციალური უზრუნველყოფა	1,035,370	-	1,035,370	1,108,503
სხვა ხარჯები	2,055,539	72,557	2,128,096	1,988,773
სულ	161,454,252	499,353	161,953,605	136,214,787
ფინანსური შედეგი	(16,344,129)	1,459,043	(14,885,086)	40,936,597

ფორმა №3-ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	(17,949,161)	1,234,035	-	(16,715,126)
კორექტირებები:¹	33,455,277	263,762	-	33,719,039
ცვეთა (+)	9,341,431	15,459	-	9,356,890
	71,558	(31,159)	-	40,399
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	21,694,725	-	-	21,694,725
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	2,712,542	-	-	2,712,542
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(238,291)	21,392	-	(216,899)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(126,688)	258,070	-	131,382
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან³	15,506,116	1,497,797	-	17,003,913
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში				
განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	15,497,575	155,001	-	15,652,576
ძირითადი აქტივები	15,497,575	155,001	-	15,652,576
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში	(15,497,575)	(155,001)	-	(15,652,576)
განთავსებული ინვესტიციებიდან				
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	-	(120,000)	-	(120,000)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(299,140)	-	-	(299,140)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან⁵	(299,140)	(120,000)	-	(419,140)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება⁶	(290,599)	1,222,796	-	932,197
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	311,670	138,657	-	450,327
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	21,071	1,361,453	-	1,382,524
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა №4 – კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	303,534,131	3,342,679	306,876,810
არასაოპერაციო შემოსავლები	295,721	-	295,721
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	295,721	-	295,721
არასაოპერაციო ხარჯები	599,815	-	599,815
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	599,815	-	599,815
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	1,300,938	225,008	1,525,946
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	1,300,938	-	1,300,938
მოგების გადასახადი	-	225,008	225,008
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	(16,344,129)	1,459,043	(14,885,086)
ნაშთი წლის ბოლოს	285,584,970	4,576,714	290,161,684

ფორმა N5-ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	144,800,000	143,558,200	-0.86%	143,029,370	-0.37%	161,454,252	18,424,881.74
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	66,583,000	67,499,000	1.38%	67,487,303	-0.02%	67,479,724	(7,579.08)
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,851,000	15,791,860	-0.37%	15,497,803	-1.86%	15,497,803	-
ფინანსური აქტივების ზრდა		120,000	0.00%	120,000	0.00%	120,000	-
ვალდებულებების კლება		54,600	0.00%	48,416	-11.33%		(48,416.04)